№ 27 თებერვლის 6, ოთხშაბათი. 1866—1885 თებერვლის 6, ოთხშაბათი. № 27

„დროების" რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სარაჯოვის სახლში.
ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე; ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, ред. «Дроэба»
ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ. 50 კ.; 10 თვით—8 მ.; 9 თვით—7 მ 50 კ.; 8 თვით—7 მ.; 7 თვით—6 მ. 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვით—4 მ; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.
ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: მეოთხე გვერდზე სტრიქონზე 8 კაპ.; პირველზე 16 კაპ. სრული უკანასკნელი გვერდი 25 მანათი; პირველი 50 მან. [illegible] ითვლება მათგან დაჭერილის ადგილის [illegible] ლობაზედ.
თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს დაუბეჭდველ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.
„Объявленія изъ Россіи, Царства Польскаго и за границы принимаются только въ цент., конторѣ объявл. Л. Метцль., Москва, Петровка, № 6

მიიღება ხელის-მოწერა გაზეთს

„დროებაზედ"

1885 წლისათვის

თბილისში — „დროების" რედაქციაში; ქუთაისში — ძმ. ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში; ბათუმში — მოსე ნათაძესთან; თელავში — ვანო როსტომაშვილთან; გორში — ალალო თუთაევთან.

წლით ხელის-მომწერნი ამ წლის ყველა ნომრებს მიიღებენ. თებერვლის პირველიდამ წლის დამლევამდე გაზეთის ფასი 8 მან. და 50 კაპ.

სოფლის მასწავლებელთათვის წლით შვიდი მანათი, ნახევარ წლით ოთხი მანათი. დაწვრილებით პირობები გაზეთის სათაურშია.

თბილისი, თებერვლის 6-ს

უმთავრეს ღვაწლად რუსეთის ზოგიერთა ერობებს ის უნდა ჩაეთვალოთ, რომ ამ რეფორმის შემოღების უმალვე, შეუდგნენ სტატისტიკური ცნობების შეგროვებას მათდამი მინდობილ გუბერნიების შესახებ. ერობის პირველ მოღვაწეთ კარგად ესმოდათ, რომ უციფრებოდ, რომელნიც „ქვეყანას განაგებენ", შეუძლებელია მოვლა არა თუ ისეთი დიდის კუთხისა, როგორც გუბერნიაა, ანუ მაზრა, თვით პატარა ოჯახისაც და დღეს ჩვენში, ერობის მაგიერობას ჩადის სახელმწიფო ქონებათა გამგეობა, რომელიც სწორედ ამ საჭირო ციფრების მოგროვებას შესდგომია.

ჩვენ დავპირდით მკითხველს იმის მაგალითების წარმოდგენას, თუ რამდენად ნაყოფიერია ხსენებული გამგეობისაგან განზრახული საქმე და ამ დანაპირების შესრულება დღეს გვიჭირდება არა იმიტომ, რომ ვითომ მაგალითებს ვერა ვპოულობდეთ; პირიქით, გვიჭირდება იმიტომ, რომ მრავალს მაგალითში არ ვიცით რომელი ამოვირჩიოთ და რომელს მივცეთ უპირატესობა.

ავიღოთ პირველ მაგალითად თუნდ ის, თუ როგორ უნდა განაწილდეს სახელმწიფო მამული, სახნავ-სათესი, ტყე, თუ საძოვარი სხვა-და-სხვა სოფლებ შორის? რომელ სოფელს უნდა მოაკლდეს ტყე და მიემატოს საძოვარი, ან შეუმცირდეს საძოვარი და მიემატოს სახნავ-სათესი და სხვ. ყოველ ამ გვარ განკარგულებისათვის საჭიროა დაწვრილებითი ცნობა, თუ რა გარემოებასა და პირობაში სცხოვრებს ერთი ანუ მეორე სოფელი, რამდენი საქონელი ჰყავს, რამდენად საჭიროა მისთვის ტყე, შეშისა, ფიჩხისა თუ საშენებელი? ყოველ ამ კითხვაზედ პასუხის მიგება შეუძლიანთ არა კაბინეტის ოთხ კედელ შუა მომწყვდეულთ, არამედ იმათ, რომელთაც მრავალ გვარი გაჭირება უნდა აიტანონ და სოფლით-სოფლად თითო მარცვლობით შეჰკრიბონ ზემოხსენებული ძვირფასი მასალა.

ავიღოთ მეორე მაგალითი: კახეთისკენ რკინის გზის გაყვანა საბაასო საგნად გადაიქცა ამ ბოლოს დროს. ვერც ამ გზის მოწინააღმდეგენი და ვერც მომხრენი ვერ წარმოადგენენ უტყუარ საბუთებს, რომელნიც ან ერთს მხარეს გამოადგებოდენ, ან მეორეს. ერთნი ამბობენ: კახეთში დიდ-ძალი ღვინო მოდის, დიდ-ძალი ხილი, მრავალი თამბაქო და აბრეშუმი; ყოველ ამას გასავალი ექნება რკინის-გზის გაყვანის შემდეგ და არც ამ გზის გამკეთებელნი წააგებენ რასმეო. მეორენი პასუხად ეუბნებიან: არც ღვინო მოდის იმდენი, არც ხილი, არც თამბაქო და აბრეშუმი, რომ ამისთვის რკინის-გზის გაკეთება საჭირო იყოსო და თუ გააკეთებენ, ამ გზაზედ ვაგონები ცარიელები ირიხინებენო. ორივ მხარე თავის საბუთებს იმისთანა გამოურკვეველი სიტყვებით ამკობს, როგორც „დიდ-ძალი", „მრავალი", „იმდენი არ მოდის" და ციფრები-კი, ციფრები, რომელნიც, ვიმეორებთ, „ქვეყანას განაგებენ" არსად არის, რადგან არავის არ შეუკრებია. ზემოხსენებულ ცნობების მოგროვების შემდეგ კი არა თუ გვეცოდინება თითქმის მთელის კახეთის წარმოება, იქნება ისიც შევიტყოთ, თუ როგორ იმოქმედა რკინის-გზამ ამ გზაზედ მდებარე სოფლებზედ, რამდენად აწია მათში წარმოება, გააუმჯობესა ხალხის კეთილ-ცხოვრება და ან ეხლა რამდენად მეტი ნაწარმოები გამოდის ამ სოფლებიდამ გასაყიდად, ვიდრე უწინ, რკინის გზის გაყვანამდე, გამოდიოდა.

ავიღოთ თუნდა მესამე მაგალითი, რომელიც უფრო ზნეობრივს მხარეს შეეხება: გლეხთა გაყრა ახალი დროების ნაყოფია. უწინდელი ოჯახობა შესდგებოდა ორმოც-სამოცი სულისაგან და ოჯახის წევრებ შორის შედარებით სიამტკბილობა სუფევდა, ეხლა კი ამ გვარი ოჯახები სამთლით უნდა ეძებოთ და სადმე მიყრუებულ კუნჭულებში თუ შეხვდებით, თორემ მოსახვედრ ალაგებში დიდი ხანია, რაც ძმა-ძმას მტერსავით უცქერის და დაქორწილების შემდეგ უეჭველად ცალ-ცალკე უნდა მოიკიდონ ბინა. რამდენს საინტერესო მაგალითს მონახავს ჩვენის ცხოვრების დამკვირვებელი, როდესაც იგი შეადარებს ძველის ცხოვრების ნაშთს მრავალ-წევროვან ოჯახს ეხლანდელ გაცალკევებულ ოჯახებთან!

ერთის სიტყვით სამკალი მრავალია, მაგრამ დამწიფებულს პურს მომკლის ნამგალი არ მოჰხვედრია და ამისათვის, ჯერ-ჯერობით, როდესაც ჩვენის

«დროების» ფელეტონი, თებერვ. 6-ს

### ხალხურ კილოზე

რას სწუხარ, ბეჩავ, ნინია,
რაზედ ხარ მოღრუბლულიო,
სახეზედ წყრომა გეტყობა,
სხვა რიგად გიცემს გულიო?

—

ხომ არ დაგჩაგრა ბედისა
წამის-წამ ბრაზით ღრენამა,
ან ლუკმა-პურის გულისთვის
ნიაღვრად ოფლის დენამა?

—

— არა... რას მიზამს მე ჯაფა
და შრომა მრავალ გვარიო
ჩემი ფოლადი — მარჯვენა
მათში გამომწვარიო....

—

... შლეგი ხარი ვიყიდე
შემოდგომის ახალ-პირსა,
ვსთქვი: ახლა მაინც ავიცდენ
სიღარიბის გასაჭირსა, —

—

მოვხნავ, მოვთესავ, მოვიმკი —
მოვუმატებ მხნეობასა,
მოყვარეს მოყვრად დავხვდები —
მტერს გავუწევ მტერობასა...

—

მაგრამ გაჰყიდეს „ირემა"
თან მიმიყოლეს „ყარაჩა"
და, აბა, ერთი მითხარით,
სასიხარულო რა დამრჩა:

—

არ გამაჩნია კეწეწი
არც ფიჩხი, არცა შეშაო
და უსამოსლო წვრილ-შვილი
სიცივემ დამიშეშაო.

—

ან რა ვქნა, ვილას მივმართო —
ვინღა მომიხნავს ალოსა,
ვინ მომიზიდავს შინ ძნასა,
ან გამილეწავს კალოსა.

—

დამღუპეს, დამახიჩავეს—
მომჭრეს მარჯვენა მხარიო
და ჭირის მედგრად მებრძოლსა
მადინეს ცრემლი ცხარეო.

სამსონ ნასარიძე.

### მეურნეობის მდგომარეობა ოსეთში

ბუნებით, თითქმის თვით ხალხითაც, ოსეთი ორ უმთავრეს ნაწილად იყოფება: ჩრდილოეთის ოსეთი (თერგის ხეობისა) და სამხრეთ-ოსეთი (გორისა და დუშეთის მაზრისა), რომელთაც დიდი განსხვავება აქვსთ ერთმანეთში.

მეურნეობაზე სამხრეთ-ოსეთის ჩრდილოეთ ადგილების შესახებ ბევრი არა ითქმის-რა. აქ მოდის მხოლოდ ქერი, რომლის მოსავალიც ყოველ წლივ საეჭვოა: ან თოვლი მოასწრებს, ან სეტყვა გააფუჭებს, მაგრამ ძალიან მოსავლიანი წლებიც იცის აქ. საზოგადოდ უნდა ვსთქვათ, რომ მიწის ხვნას არ შეუძლიან დააკმაყოფილოს ამ ხეობის ოსები,, არსობითის პურით". მათს უმთავრესს საზრდოს ცხვარი შეადგენს. ზოგიერთ ოჯახებს ათასობითა ჰყავთ ცხვარი, რომელსაც ქართლში ჰყიდიან და მოგებულ ფულებით პურს ყიდულობენ დაბა ცხინვალში (ჭრება, კრება, როგორც ოსები ეძახიან).

ქართლთან დაახლოვებულ ხეობებში მეურნეობა რომ რიგიანად მოწყობილი ყოფილიყო, ამ მხრით სამხრეთის ოსეთი შეუდარებელ და სანატრელ კუნჭულად ჩაითვლებოდა. მაგრამ ამ საქმეში ოსებს ხელმძღვანელი არა ჰყავთ, რადგან, ჯერ თვით საქართველოშიაც მეურნეობა, შეგვიძლიან თამამად ვსთქვათ, დაცემულია. აბა, ყოფილიყვნენ ჯავის ან ზერის ხეობაში ნემეცები, თუ როგორ აჰყვავდებოდა აქ მეურნეობა. ჯერ კომბოსტოს ფასიც ეყოფოდათ ხარჯად. ამის დასამტკიცებლად შეგვიძლიან ვიქონიოთ სახეში სოფ. სართი-ჭალა და მასში მცხოვრებ ნემეცების ეკონომიური მდგომარეობა ქართველებთან შედარებით.

მიწის ხვნა და თესვა შეადგენს უმთავრესს ცხოვრების წყაროს ჯავისა და ზერის ხეობათა ოსებისას. გუთანს ეძახიან აქ „ორ-ხელას", რომელიც ჰაკსტჰაუზენის აზრით მიაგავს მეკლენბურგის (გერმანიაში) გუთანს. ქართველების გუთანი ოსეთში არ გამოდგება, რადგანაც გვერდაებში მთლად გადაწოლილი ბელტოები დაგორდებიან; გარდა ამისა, ქართლ-კახეთში სახმარებელი გუთანი ბელტოს შავმიწასთან ერთად ქვიშიან მიწასაც ამოაყოლებს ხოლმე, რადგანაც ოსეთში ნაყოფიერი მიწა ღრმა არ არის. ჯავისა და ზერის ხეობებში მშვენივრად მოდის: პური, ქერი, სიმინდი, ლობიო, ასლი და სხვ., ერთის სიტყვით ყველა ის პურის მცენარენი,

ცხოვრების მიმდინარეობაზედ ჩამოვარდება ლაპარაკი, უნდა იმისთანა სიტყვებით ვილაპარაკოთ, რომელნიც მტკიცე წარმოდგენას არ დაჰბადევენ ჩვენს გონებაში.

სასიამოვნო მოსასმენია, რომ ძლივს სახემწიფო ქონებათა გამგეობას მაინც შეაქვს ნამგალი ამ სამკალად განმზადებულ ყანა'ში.

## შინაური ქრონიკა

— ამ თვის სამს ქურდებმა ია ელიოზიშვილის დუქანი გატეხეს; ქურდებს ჭერი აენგრიათ და იქიდამ ჩასულიყვნენ და რაც ბეწვეული ან სხვა რამ ენახათ დუქანში — ყოველისფერი წაელოთ. ქურდები ჯერ ვერ უპოვნიათ.

— „კავკასიის სამეურნეო საზოგადოების“ მოხსენებათა უკანასკნელს მე-12 №-ში დაბეჭდილია განცხადება, რომ ამავე საზოგადოების შენობაში, თბილისს ალექსანდროვის ბაღში იყიდება გოგირდის ყვავილი (сѣрный цвѣтъ), რომელიც უკეთესი საშუალება არის ვენახის ნაცრით ავადმყოფობის წინააღმდეგ.

— თებერვლის სამს უნდა ეკურთხებინათ ვერის ხიდი, მაგრამ ეს ცერემონია გადადვეს ამ თვის ათისათვის, რადგანაც ვერის ქუჩიდან ხიდზე ჩამავალი ადგილი სულ ვერ მოუსწორებიათ. კოხტა და ლამაზი რამ არის ეს ხიდი, თუმცა უნდა გამოვტყდეთ, რომ ვიწრო სიგანე ბევრს შნოს უკარგავს მას; მაგრამ რაც უფრო შესანიშნავია თბილისელთათვის—ეს ხიდის არე-მარეა, მეტადრე მარჯვენა ნაპირს. ალმართიდან ხიდზე ჩასავალი კაცს თვალწინ უშლის მშვენიერ სურათებს, მთელი ქუჯა, დიდუბე და ჩუღურეთი თითქო ხელის-გულზე ჰქონდეს ადამიანს...

— დ. საჩხერიდან გვწერენ: «იანვრის 7-ს დ. საჩხერეში რამდენიმე პირის მეოხებით გაიმართა წარმოდგენა ოდესის უნივერსიტეტის, სტუდენტის ვ. წ—ს სასარგებლოდ. წარმოდგენილ იქმნა—«ბიძიასთან გამოხუმრება», რაფ. ერისთვისა და «ბაიყუში» ცაგარლისა. ორივე პიესების წარმოდგენა ისე კარგად წავიდა, რომ მაყურებლები ამავე პიესების განმეორებას თხოულობენ. არტისტიულად ასრულებდენ თავიანთი როლები განსაკუთრებით კ-ნა სადიკო წერეთლისამ (პირველ პიესაში—ნატოს როლს ასრულებდა და მეორეში თალიკოსას), თ. ვლ. აბაშიძემ (პირველში—იორამის როლს ასრულებდა და მეორეში—რევიზორისას) და თ. გიორგი წერეთელმა (პირველში—ალექსანდრე). დიდი მადლობის ღირსნი არიან ყველა მონაწილეობის მიმღებნი, რომელთაც არაფითარი შრომა არ დაუზოგავთ ამ საქმისათვის. შემოსავლიდგან ხარჯს გარდა დარჩა 45 მან.; ორმოცი მანათი მეორე დღესვე გაიგზავნა დანიშნულებისამებრ და დანარჩენიც მალე გაიგზავნება.»

— საქართველოს ქრისტეს მცნებით განმანათლებელის მოციქულთა თანასწორის წმ. ნინოს დღესასწაულის დღეს, ჩვეულებისამებრ, წირვა იყო სიონში. წესით უნდა ეწირა ჩვენი ეკლესიის თავს მისს მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესობას საქართველოს ექსარხოსს, მაგრამ რადგანაც იგი ძლიერ ავად იყო, მის მაგიერ მღვდელ-მოქმედებდა ალექსანდრე ეპისკოპოსი. წირვის დროს გალობდა ქართული საეკლესიო ხორო კარბელაშვილებისა. ჩვენდა განსაცვიფრებლად და სამწუხაროდ წირვის გათავების შემდეგ არ წარმოთქმულა ქადაგება, ამისთანა დიდებულ დღესასწაულ დღეს, უწინ მქადაგებლებით განთქმულს თბილელთა კათედრიდგან! ჩვენ მივმართეთ სამღვდელო პირთ ამ უცნაური მოვლენის ასახსნელად და მათ მხოლოდ ის მოგვიგეს, რომ «გრიგოლ არხიმანდრიტი ავად არისო»...

— მამანო, ვითარცა მომაკვდავს გრიგოლ არხიმანდრიტს რომ რაიმე უბედურება ეწვიოს, ან და სადმე კათედრაზე გადაიყვანონ, მაშ ქართული ქადაგების გაგონებაზე სამწყსომ იმედი გადაიწყვიტოს? — დავეკითხეთ.

— მაგისი რა მოგახსენოთ...

ეს გარემოება, ჩვენის აზრით, ერთობ ცხადად სახავს ჩვენის თბილისის სამღვდელოების უკიდურესს სიღარიბეს სამწყემსოდ და მეტადრე საქადაგებლად მომზადებულ პირებით... (ამ ცნობამ ჩვენდა უნებურად დაიგვიანა.)

— ჩვენ მივიღეთ პატარა ბროშიურა: „ბოროტი და კეთილი კაცის ცხოვრება, სალმრთო ლექსთა დართვით“ უცნობის ავტორისა, რომელიც, ძველებურის უდაბნოელის კილოთი, მხოლოდ მდაბიურის ენით-კი, სწუხს სარწმუნოების დაცემას, ზნეობის გარყვნას და ცდილობს ჩააგონოს თავის მკითხველებს უკეთესის ცხოვრებისადმი დაბრუნება; სარწმუნოებრივს ქადაგებასთან ერთად ავტორი თავის საკუთარი მაგალითითა ჰხსნის, თუ როგორ უკეთესია და სასიამოვნო კაცისათვის მომჭირნეობა, შრომა და კეთილი საქმის ჩადენა.

— გაზეთ „ქარსში“ დაბეჭდილ განცხადებიდან ვტყობულობთ, რომ ყარსის ოლქში არდაგანის მაზრას სოფელს საიხვეს აღმოჩენილა თეთრისა და მწვანე მარმარილოს მადანი, რომელიც სპეციალისტების აზრით თურმე კარგი თვისებისა არის და გამოსადეგია საქანდაკო საქმეთათვის.

მოხსენებული განცხადება მოიწვევს გუბერნატორის კანცელარიაში ამ წლის პირველ ნახევრის გასვლამდის იმ პირთ, რომელთაც ჰსურთ ამ მადნის ექსპლოატაცია.

— „მოსკოვის უწყებებში“ სწერია, მმართებლობის წრეში ჰფიქრობენო, რომ ქუთაისის გუბერნიაში მდებარე ყოვანის-თავის ხეობა (ქობულეთში) გახადონ სანიტარულ სადგურად, როგორც დაბალი ჩინთათვის, ისე იმ გერმო პირებისათვისაც, რომელნიც გულს იტკივებენ.

გაზეთის „ქარსის“ ფელეტონისტი ძლიერ აქებს ამ ყოვანის თავს: „ყველაფერი, დაწყებული ჭერიდან და გათავებული ნიგვზით შემზადებული კალმახებით, რომელნიც თავაზიანად მოართვა ამ ადგილის პატრონმა პატივცემულმა რაჯიფ-ეფენდიმ,—მეტის-მეტად სასიამოვნოა აქ. მაგრამაო, ამბობს შემდეგ ფელეტონისტი, არის ერთი კუთხე, რომელთან შედარებით ყოვანის-თავი არაფერია. ეს კუთხე არის ჭოროხის ხეობა, ქ. ართვინიდან დაწყებული აჭარის წყლამდე. ეს ხეობა ათჯერ უფრო გრძელია ყოვანის-თავზე და თითქმის ამდენადვე უფრო დიდებულია, ლამაზი და მცენარეულობით მდიდარი...

— ერთს გორის მაზრის მცხოვრებელს მოსდომებია რამდენიმე გირვანქა რკინა, და ამ განზრახვით თბილისისა და მცხეთის შუა მე 27-ს ვერსზე დაუმტვრია თორმეტი ბოლტი იმ „ბოქლომებიდან“ რომელნიც აკავშირებენ რელსებს. რასაკვირველია, მატარებელს რომ ამ ადგილს გაევლო, საშინელი უბედურება მოხდებოდა, მაგრამ რკინის-გზის სტოროჟისაგან თავის თანამდებობის ჩინებ...

რომელნიც ქართლში ხეირობენ. აქაური სიმინდებს, თუმცა ურწყავნი არიან, ქართლის სიმინდებს ამჯობინებენ ხოლმე. შვრიელიც კარგად მოდის აქ, მაგრამ მცხოვრებნი არ სთესვენ. მიწის უქონლობის გამო ოსები შეუნდობლად ჰკაფავენ ტყეს ახოებისათვის. მიწის უქონლობისავე გამო ოსები პურს არასოდეს არ ჰყიდიან.

დიდი სარგებლობა შეეძლო მოეტანა ოსებისთვის აგრეთვე ბოსტნეულობას. კარტოფილი, ბოლოკი, ნიორი, სტაფილო, ხახვში და სხვა მწვანილეულობა მშვენივრად მოდის აქ, უმეტესად ნიორი, რომლის მოსავალიც ზერტელ (ნივრით გათქმული სოფელია) მცხოვრებსაც კი გააკვირვებს.

ხილეულობით ვერისა და ჯავის ხეობა ძალიან მდიდარია. აქ მოდის ყველა-ნაირი ზამთრის ხილი: ხეჭეჭური, ვაშლი, მსხალი და სხვ. აქვე უნდა ვსთქვათ, რომ ოსები უსამთლოდ ამყნობენ და ამიტომ ნამყენი კარგად არა ხარობს. ყველაზე უფრო კარგად მოდის ხეჭეჭური, რომელიც გასასყიდად მოაქვთ ოსებს თბილისში, ან გორში და ძალიან იაფ ფასადაც ჰყიდიან. იმისთანა გოდორს, რომელშიაც ჩავა 3—4 ფუთი ხეჭეჭური, ოსები აძლევენ 2 მანათად. ვერის ხეობაში იქნება ყურძენსაც ეხეირა. დასამტკიცებლად ის შემიძლიან მოვიყვანო, რომ სოფელ ორტევის ტყეში მშვენივრად ხეირობენ: ბალი, ალუბალი, ქლიავი და სხვ. ზემოხსენებულ სოფლებშივე ერთ გლეხს ბოსტანში უდგია ალუბლები, რომელნიც წელიწადში ორჯელ ისხმენ: როდესაც მკათათვეში ნახევარი დამწიფებულია, ნახევარი მხოლოდ მაშინ ჰყვავის. ერთის სიტყვით ხილეულობას შეეძლო ძალიან დიდი სარგებლობა მოეტანა ამ მხრის ოსებისათვის, მაგრამ ოსები სამწუხაროდ არ აქცევენ ამას არავითარ ყურადღებას და ძირს დასცემენ ხოლმე მშვენიერ ვაშლის ან მსხლის ხეს, ოღონდ ბოძად, ან სხვა სახლის ხედ გამოდგეს; ალბად იმიტომ, რომ ოთხ-ხუთ გოდორში თბილისში აღებული ფული შრომად არა ღირს. წარმოიდგინეთ, რომ ორი სამი დღე და ღამე უნდა იაროს ოსმა ხარით, კაცით თბილისამდე, სადაც ითმენს გინებას და სხვა შეურაცხყოფას თბილისელ ვაჭრებისაგან. დაბრუნდება შინ და გზაზედ თავის მოგებულ ორიოდ მანათს ლვინოზედ დახარჯავს მცხეთაში ან' კასპში. აქვე უნდა ვსთქვათ, რომ ოსები ვაჭრობენ აგრეთვე დ. ცხინვალში ყველით, ერბოთი და ქათმებით სომხებთან და ურიებთან. საკვირველ გაბედულებამდე მივიდნენ ცხინვალის ვაჭრები. დილა-ადრიან გავლენ ზღუდრის გზაზე და ელიან ოსს. ნახვენ თუ არა ცხენოსანს, ძალად გააჩერებენ და დაუკითხავად დაუჩხრეკენ ხოლმე ხურჯინებს. ეხვეწება საწყალი ოსი: «გამისვი, გასაყიდი არა გაქვს»!—მაგრამ ვაჭარი არ ეშვება: „რა ღირს ეს ყველი, ჰყვირის ვაჭარი, რამდენ წონად გასცვლი მარილზე“? და, ვაი, ოსის ბრალი, თუ ვაჭრების საწყინო სთქვა რამე! დედალ ქათამს, რომლის ფასიც ოთხ აბაზზე ნაკლები არ არის, ვაჭრები თხოულობენ 20-25 კაპ. და სხვ.

საქონელს ამ მხრის ოსები იმდენს ინახვენ, რამდენიც საჭიროა შინ მოსახმარებლად. მაგრამ ზოგს მომეტებულიცა ჰყავს და ამისთანა სახლისპატრონნი ჰყიდიან კიდეც.

ამ მხრის ოსებს შეეძლოთ პურიც გაეყიდნათ ხოლმე, მაგრამ ამას წინ უდგება მათი ჩვეულება: ხარნაგა, ხისდები და სხვ., რომლებშიაც ოსს დიდ ძალი არაყი და ლუდი ეხარჯება. გარდა ამისა არ შეიძლება, რომ სახლეულობამ წელიწადში საკუთრად რამდენჯერმე მაინც არ გამოხადოს არაყი—და ყველა ამის შემდეგ ადვილად წარმოსადგენია, რომ სანამ ეს ჩვეულებანი არ მოისპობიან, ოსეთის კეთილ-დღეობა წინ ვერ წავა.

ტოპოგრაფიულ მდებარეობით ჩრდილოეთ-ოსეთის მეურნეობა აგრეთვე ორ ნაწილად იყოფება: მთის მეურნეობა და ბარისა, რომელთაც დიდი განსხვავება აქვთ ერთმანეთში *).

მთის ოსეთის მცხოვრებთ ძლიერ ცოტა მიწა აქვსთ, ასე რომ ზოგი ოჯახი კმაყოფილდება მხოლოდ ერთი ან ორი დღიური მიწით. ნაკლულევანებასთან თვით ეს ცოტა

*) რადგანაც რიგიანად არ ვიცნობ მეურნეობის მდგომარეობას ჩრდილოეთ ოსეთში, ამიტომ წერილის შესავსებლად ცნობებს ამ საგანზე ვიღებ ბროშიურიდამ: „Записки Кавказскаго Общества Сельскаго Хозяйства“-დამ.

ავტ.

ბულად აღსრულების წყალობით დროზე გაუგიათ ეს და ახალი ბოლტები ნაუდგვიათ. (,,ნოვ. ობოზ.").

---

## „დროების" კორესპონდენცია.

ქუთაისი, თებერვლის 3-ს. — ქუთაისს კიდევ მოემატა ახალი საქველმოქმედო საზოგადოება. ამ საზოგადოებას საგნად აქვს ნივთიერად დაეხმაროს ქუთაისის ღარიბ მცხოვრებთა. რაღა თქმა უნდა, რომ ამ გვარი საზოგადოების დაარსება კარგი საქმეა; მაგრამ ხშირად, შეცდომით თუ სხვა-და-სხვა მიზეზების გამო, ვისაც შეწევნა ეჭირვება, ის განზე რჩება და საზოგადოებისაგან უფრო შეძლებული კაცი სარგებლობს. ვურჩევთ ამ ნორჩ საზოგადოებას უფრო მეტი სიფხიზლე იქონიოს თავის მოქმედების დროს.

საზოგადოების მოთავენი მომეტებული ნაწილი ქალები არიან. ქალებს უფრო ეხერხებათ ამ გვარი საქმე და თავიანთი გავლენით საზოგადოების წევრებს უფრო მეტს შოულობენ. ჩვენ წინადაც ვამბობდით და ეხლაც გავიმეორებთ, რომ ქალებს ბევრი კარგი რამ შეუძლიანთ გააკეთონ ქვეყნისათვის, თუკი მოიწადინებენ და საქმეს გულ-მტკივნეულობით მოჰკიდებენ ხელსა. ჩამთა ვითარებამ ცოტა არ არის (ვგონებ დიდადაც) შესცვალა ჩვენი ქალები და გზა და კვალი დაუბნია ცხოვრებაში...

ქუთაისში ყვავილი საშინლად მძვინვარებს. ეს სენი დღითი-დღე მატულობს და ჰფიქრობს ვინმე ამ სენთან ბრძოლას თუ არა, არ ვიცით. ურიგო არ იქნებოდა, რომ ქალაქის საბჭოს გაემართა დროებით რიგიანი საავადმყოფო ყვავილიანებისათვის. ვითომ რაღაც სახლი დანიშნეს ამ საქმისათვის, მაგრამ, როგორც გავიგეთ, ჯერ-ჯერობით არც ტახტები, არც კრავოტები და არც სხვა საჭირო ნივთები არ მოეპოვებათ.

წარმოდგენა წარმოდგენაზე იმართებოდა ამ ბოლო დროს, ხან ერთის საზოგადოების სასარგებლოდ, ხან მეორისა. ჩვენ არაფერს ვიტყვით ამ წარმოდგენებზე; ცოცხალი სურათები-კი ლაზათიანი იყო. კლუბიც როგორც იყო გონზე მოვიდა: სამი მანათის მაგიერ ერთი მანათი დანიშნა სამასკარადო სალამოზე შესასვლელად. პირველი თებერვლის მასკარადი არ იყო ურიგო, მაგრამ ჩვენს მასკებს რაღაც მარილი აკლდათ.

ალ. აგ.

---

## უცხოეთი

საფრანგეთი. პარიჟიდამ სწერენ ერთს ნემეცურს გაზეთში, რომ ოდონოვან როსის დაჭრამ აქ მცხოვრებ ანარხისტებ შუა (უმეტესად ირლანდიელ ანარხისტებში) კვლავ აღძრა სურვილი საიდუმლო-მამულო კავშირის დაარსებისა. თუმცა ცენტრალური სამმართველო ამ საშიშარის კავშირისა ამერიკაში იმყოფებაო, მაგრამ აღმასრულებელი კამიტეტი-კი პარიჟში არსებობსო. გაზეთი ,,Figaro" ამ, როგორ ანაწილებს პარიჟის ირლანდიელ დასს: ა) ფენიები, ბ) დაუმარცხებელნი, გ) ირლანდიის რესპუბლიკური ძმობა და მეოთხე რიგი განიყოფება სამს ნაწილად; პირველს ნაწილს შეადგენენ დასის მეთაურნი, მეორეს — თავისუფალი ხელობის პირნი, როგორც — მკურნალნი, მხატვარნი, ადვოკატები და სხვ. მესამეს მუშები და მოდინამიტენი. ამ დასის წევრთ უარი განუცხადეს რუსის ნიგილისტებს და ნემეცურ სოციალისტებს, რომელთაც ესურვათ მათთან შეერთება; ირლანდიელები თუმცა რევოლიუციონერნი არიან, მაგრამ ამასთანავე ჭეშმარიტ კათოლიკებად უწოდებენ თავიანთ თავს და არაფითარი საქმის დაჭერა, ერთობა არა ჰსურსთ მართლმადიდებლებთან, პროტესტანტებთან ან ატეისტებთან.

პალატაში გაცხარებული სჯა აღიძრა იმ 25 მილ. ფრანკის კრედიტის გახსნის გამო, რომელიც ჩვენ გუშინ მოვიხსენეთ. ამ კრედიტის გახსნის წინააღმდეგ სხვათა შორის ელაპარაკა მინისტრმა ვალდეკ რუსომ, რომელიც ამტკიცებდა, რომ 25 მილ. ფრ. ვერაფერს შველას ვერ გაუწევს ამდენს გალარიბებულს ხალხსაო. პალატამ 237 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 123-სა შესწყვიტა სჯა ამ საგანზე და გადასცა იგი განსახილველად ბიუჯეტის კომისიას.

და ამ დროს როდესაც დეპუტატნი ასე ცივად ეკიდებიან ამ საქმეს, დამშეული ხალხი კრებებს ახდენს პარიჟში და ამ გვარს აღმაშფოთებელს ადრესებს არიგებს. ,,მეგობარნო, მმართებლობა გცარცვავთ თქვენ. თქვენივე წარმომადგენელნი დაგცინიან და მასხარად გიგდებენ. თქვენი სილატაკე ქუჩებში ეჯახება განცხრომას იმ მდიდარის კაცებისას, რომელთაც ეს განცხრომა თქვენს კისერზედ აღებულის ფულით მოუპოვიათ, თქვენგან მოუპარავსთ. დროა, მოეღოს ბოლო ყოველს ამას. კმარა სიტყვები! შევუდგეთ საქმეს! მეგობრებო! თებერვლის 9-ს თავი მოიყარეთ ოპერის მოედანზე, ყველანი მოდით! გამოაფინეთ თქვენი დაფლეთილი ტანთ-საცმელი ერთად მდიდართ ჩაცმულობასთან, იმიტომ-კი არა, რომ რაიმე სიბრალული აღძრათ თქვენთა გამცარცველთა გულში, არა, იმიტომ რომ იმით შეაშინოთ ისინი." მაგრამ მმართებლობამ, რაკი ადრე გაიგო ეს მოსალოდნელი კრება — დაატუსაღა ბევრი მეთაურნი ამისა და კრება, უეჭველია, აღარ შესდგება.

ინგლისი. ინგლისსა და რუსეთს შუა მოლაპარაკება საზღვრის გაყვანაზე რუსეთის სამფლობელოს ახალთეკა და ავღანისტანის შუა. რუსეთის დელეგაცია ჯერაც არ ჩასულა იქ ამ სამზღვრების გასაყვანად და ბრიტანიის კომისარს, რომელიც ინდოსტანიდამ მოსულა 1,200 კაცით, მოჰბეზრებია ლოდინი, მით უფრო, რომ რუსეთი ამ ხანში, როგორც ლონდონში გავრცელებულა ხმები, იდუმალად მიდის ჰერატისაკენ. ჰერატისაკენ წაწევის მიზეზად რუსებს ის გარემოება მოჰყავთო, რომ ამ ადგილებში მცხოვრებ თურქმენებს, როგორც ამათ თანამეგვარე მერველებს, ჰსურსთ რუსეთის ქვეშევრდომობა. ინგლისელები ძალიან ეჭვობენ, რომ ეს ნამდვილად თურქმენების სურვილი იყოს და რომ აქ არ იმალებოდეს რუსეთის განზრახვა — ჰერატი იგდოს ხელში.

ესპანია. მიწის-ძვრისაგან დაზარალებულთათვის, ესრედ წოდებულ ნაციონალურის ხელის მოწერისაგან შეგროვდა 600,000 მან.; ამას გარდა ყველა თეატრები და სხვა გასართობელი დაწესებულებანი ცალკ-ცალკე აგროვებენ ფულს. მცხოვრებლებზე ფრიად სასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინაო, მეფის მოგზაურობამ იმ ქალაქებსა და სოფლებში, რომელნიც უფრო დაზარალდენ მიწის ძვრისაგან; ნახევარზედ ფეხით მოგზაურობდა თურმე მეფე დაქცეულს ადგილებში

---

მიწაც უნაყოფოა. ზემო-ნიადაგს შეადგენს მხოლოდ ქვიშა და კირის მზგავსი თეთრი მიწა, მაგრამ მცხოვრებნი ისე მუყაითად ეკიდებიან ამ საქმეს, რომ მოსავალს ამ მიწებისას ბარში მდგომი საკვირველებად მიიჩნევდა. მთის ოსეთში სთესვენ პურს (ძალიან ცოტას), ქერს, ასლს (ანუ აჭარა ბრინჯს), შვრიას და ამ ბოლო-დროში კარტოფილსაც. ყველაზე უფრო კარგად მოდის ამათ შორის ქერი და შვრია, რომელნიც მშვენიერ ინგლისურ ქერსა და შვრიას არ ჩამოუვარდებიან. თუმცა მთის ოსებს ქერი და შვრია კარგად მოსდით, მაგრამ შინვე ხმარობენ და გასაყიდად არ გააქვთ. მთის ოსეთში ისეთი ძვირობაა მამულისა, რომ ერთი დესიატინა სახნავი, რომელშიაც, შეიძლება, კაცმა პატივი გაზიდოს, ღირს 600 მანათამდე. ყიდვის დროს სახეში იქონიებენ ხოლმე აგრეთვე მიწის სიახლოვეს მყიდველის სახლთან.

თუმცა მთის ოსეთში, (რომლის მცხოვრებნიც უმეტესად დიგორელნი არიან) მიწის ხვნა არ შეადგენს უმთავრესს სახსარს მათის ცხოვრებისას და სახნავი მიწაც ძლიერ ძვირია, მაგრამ სამაგიეროდ მთის ოსეთი მდიდარია მშვენიერი საძოვრებით და ამიტომ აქ ცხვარი მრავალია. ცხვრის რძისას ოსები ამზადებენ ყველს, განთქმულს მთელს ამიერ-კავკასიაში. მატყლისას ,,ქიზგები" ჰქსოვენ მშვენიერ შალებს და ნაბდებს, რომლებით ვაჭრობა შეადგენს აგრეთვე მთიელი ოსის ერთ უმთავრესს სახსარს ცხოვრებისას.

მთის ოსები თაგაურთ და ქურთათ საზოგადოებათა დიდიან აგრეთვე ურმებით ქირაზე თბილისში და ძაუგში, მხოლოდ ალაგირის საზოგადოებაში მცხოვრებნი კი მუშაობენ ადგილობრივ მადანზე; ამ მუშების რიცხვი ამ ჟამად 350-ია; გარდა ამისა ალაგირელები და დიგორელები დიდიან სათიბად ანუ სამკალად სხვაგან და ბევრს ფულსაც შოულობენ უმეტესად, რომელსაც მოსავლიანი წელიწადია.

ბარში მცხოვრებ ოსებს აქვსთ სამყოფი ნაყოფიერი მიწა და აქ ხვნათესვის საქმე შედარებით უფრო წინ არის დაყენებული. სიცივეები ბარის ოსეთში დაიწყება ხოლმე ნახევარ ოქტომბერში და თავდება აპრილის პირველ რიცხვებში; მაშასადამე მიწის მუშაობა შვიდი თვე გრძელდება.

ბარის ოსეთში მოდის ყოველ ნაირი პური, როგორც ზამთრის პირში დათესილი, აგრეთვე ნაიშის ნათესი. უმეტეს ნაწილად ოსები სთესვენ ზამთრის პირში პურს და ფეტვსა. ამასთანავე ამ ბოლო დროში დაიწყეს თესვა ჭვავისა (ახალ-თესლისა), ქერისა, სიმინდისა და უგრეხელისა, რომელთაც მოულოდნელი ნაყოფი მოაქვსთ; გარდა ამისა ბარის ოსეთში მშვენივრად მოდის: კანაფი, თამბაქო და ჰარხალი.

თუმცა ბარის ოსეთი ასეთი ნაყოფიერია, მაგრამ სამწუხაროდ ხვნათესვა აქ მაინც არ არის ჩადგმული თავის კალაპოტში; ერთ ერთი ამის მიზეზთაგანი არის ოსური გუთანი, რომელიც ძალიან მძიმეა, და რომელშიაც ოსები 4—5 უღელ ხარს აბმენ. ოსური გუთანი ღრმად არა სთხრის მიწას და ამასთანავე ბელტოსაც კარგად არ გადააწვენს ხოლმე.

ხვნა-თესვა, როგორც გაზაფხულზე, აგრეთვე შემოდგომაზე ძალიან გვიან დაიწყება ხოლმე და ესეც მეორე მიზეზია მოსავლის წახდენისა.

ოსები აგრეთვე არასოდეს არ აშორებენ ყანას სხვა და სხვა ბალახეულობას. ნაყოფის გამოცვლის (плодоперемѣнная система) სისტემაზე ოსებმა არაფერი არა იციან-რა. ბარის ოსეთში მოდის ყველა ნაირი ხილი, თითქმის სამხრეთ საფრანგეთის სორტებისაც. ბაღეულობას შეეძლო მოეტანა ოსისათვის კარგი სარგებლობა, მაგრამ სამწუხაროდ ხილების გაშენება არ იციან აქ. ხილეულობით სოფ. ალაგირია განთქმული.

ფეხ-მსხვილი საქონელი და თხა-ცხვარი ბარის ოსეთშიაც კარგად ხეირობს, მაგრამ მცხოვრებნი ყურადღებას არ აქცევენ, თუმცა კი შეეძლოთ მარტო თივით გამოეკვებათ საქონელი ზამთრობით.

ფუტკრის გაჩენა შეადგენს ერთს უმთავრესს საზრდოს ცხოვრებისას ბარის-ოსებისათვის. არიან ოჯახის პატრონნი, რომელთაც 1000 მეტი ძირი ფუტკარი ჰყავთ. ფუტკრის მოშენება ყველაზე უფრო კარგად მიდის დიგორიაში. თაფლი ისყიდება ადგილობრივ ფუთი 5—6 მანათად.

შემდეგში იქნება კიდევ დავუბრუნდეთ ამ საგანს.

გიორგი ლიახველი.

და ყველგან დიდის სიხარულით და ალტაცებით ეგებებოდენ გალატაკებულ-ნი მცხოვრებნი, რომელთაც უხვად ასაჩუქრებდა მეფე.

წასულს იანვარში ესპანიაში მოხდარა ერთი შემაძრწუნებელი ამბავი. Ორს ყმაწვილს კაცს ღამით ჩაუვლიათ ბარსელონის ერთ ქალების მონასტრის გვერდით და შეუმჩნევიათ, რომ შიგ მონასტრის გალავანში რაღაც იდუმლად მარხვენ კაცის გვამს. Ყმაწვილებმა ეჭვი აიღეს, რომ აქ, უეჭველია, საკეთილო არა არის რა და წასულან თუ არა მესაფლავენი, გადასულან, უცბად გაუთხრიათ სამარე და ამოუყვანიათ საფლავიდამ ჯერ კიდე ცოცხალი ქალი შეკრული და პირში ცხვირსახოც ჩაჩრილი. Პოლიციას აცნობეს ეს ამბავი და ის იყო გამოძიება ინიშნებოდა, რომ მადრიდიდამ მოვიდა საიდუმლო მიწერილობა ,,ჩაეფუჩეჩებინათ'' ეს საქმე. Ქალი აღმოჩნდა ერთად ერთი შვილი მდიდარის ესპანიელის მარკიზისა. Ამბობენ ვითომც ერთს კათოლიკე პატრს შეეცდინოს იგი, შემდეგ მოესყიდოს მონასტრის წინამძღვარი მონაზონი და ცოცხლად დაემარხოს თავისი მსხვერპლი. Ესეთმა დანაშაულმა დაუსჯელად ჩაიარა და ეს იმიტომ, რომ ესპანიაში არის ორი ძალა, რომელთანაც მართლ-მსაჯულება ვერას გადის. Ეს ორი ძალაა—კათოლიკე სამღვდელოება და ფული.

## ტელეგრამები

(,,ჩრდილოეთის სააგენტოსი'')

თებერვლის 5-ს

**ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ.** გიმნაზიის მოწაფეები, რომელთაც კლასში ორი წელიწადი დაჰყვეს და ძველს ენების ცოდნაში სუსტები აღმოჩნდენ, შეიძლება მიღებულ იქმნან რეალურ სასწავლებელთ შესაფერს კლასებში, გამოუცდელად, თუ რომ გიმნაზიიდამ გამოსვლის შემდეგ სამი თვის მეტი არ გასულა.

**ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ.** ბაჟმა პურზედ და შვრიაზედ, შეტანილთ გერმანიაში, რეიხსტაგის გადაწყვეტილებისამებრ, აიწია ერთ მარკიდამ სამ მარკამდის.

**ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ.** გლადსტონმა აუწყა სამინისტრო დასს, რომ თებერვლის 19 რაწამს პარლამენტი გაიხსნება, მაშინვე შეტანილ იქმნებიან მეტის-მეტად საყურადღებო საგნები და რომ მმართებლობამ გადასწყვიტა დაუყოვნებლივ გაიყვანოს რკინის-გზა სუაკიმიდამ ბერბერამდის.

**ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲘᲐ.** უელსლეის შტაბში ჩარიცხულ იქმნება ეგვიპტის პრინცი ხასანი, როგორც ხედივის სამოქალაქო კომისარი.

**ᲞᲐᲠᲘᲟᲘ.** გუშინ ჟურნალისტი ვალესის დამარხვა გახდა მიზეზი სოციალისტების მოძრაობისა: კუბოს ბევრი სოციალისტები და რადიკალები მისდევდენ; კომუნას ალტაცებით იხსენებდენ; საფლავზედ ნემეცებისაგან დადებული გვირგვინის გამო ჩხუბი მოხდა და ორი სტუდენტი დაიჭირა.

**ᲨᲐᲜᲮᲐᲘ.** ადმირალ კურბეს ესკადრა, რომელიც ამაოდ ეძებდა ჩინეთის ესკადრას ფუ-ჩეჩუში და იანცე-კიანგის შესართავში, ბოლოს შეხვდა ჩინეთის სამს გემს ნინგაოსთან და დაუწყო სროლა. შედეგი ჯერ არ იციან.

## ცნობანი

### ᲛᲐᲖᲐᲜᲓᲐ

ხორაგისა, რომელიც იყიდება Თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელდა-ხელ 1 თებერვლიდამ 1 მარტამდე 1885 წ.

| | | | |
|---|---|---|---|
| გამომცხვარი პური რუსეთის ფქვილისა — | —1 | გირ. | 5 კ. |
| აქაურის ფქვილისა: პირველის ხარისხისა — | —1 | გ. | 2½ |
| მეორისა — | —1 | გ. | 2 კ. |
| იმავე ფქვილ. თონეში გამომცხვარი: | | | |
| პირველი ხარისხის | —1 | გ. | 4½ |
| მეორისა — — | —1 | გ. | 3 კ. |
| მესამისა — — | —1 | გ. | 2½ |
| ჯვარის-მამი პური: | | | |
| პირველი ხარის. ლავაში | 1 | გ. | 4½ |
| მეორის ხარის. ლავაში | 1 | გ. | 3½ |
| მესამისა — — | —1 | გ. | 3 კ. |
| ძროხის ხორცი: | | | |
| პირველის ხარისხისა | —1 | გ. | 8 კ. |
| მეორისა — — | —1 | გ. | 7 კ. |
| სუკი . . . | —1 | გ. | 15 კ. |
| ცხვრის ხორცი | —1 | გ. | 8 კ. |
| ღორის ხორცი: | | | |
| პირველის ხარისხისა | —1 | გ. | 8 კ. |
| მეორისა — — | —1 | გ. | 7 კ. |

## განცხადებანი

ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲓᲐ ᲓᲐ ᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ

**ᲔᲚᲘᲡᲝ**

მოთხრობა ჩეჩნელთ ცხოვრებიდგან

თხზულება

ა. მ. მოჩხუბარიძისა.

ფასი 25 კაპ.

იყიდება Თბილისში: გრიკუროვის წიგნების მაღაზიაში და არწრუნისეულს სათეატრო ქარვასლაში; ქუთაისში: ჭილაძის წიგნის მაღაზიაში; ფოთში: ხუმარაძის მაღაზიაში; ბათუმში: მასწავლებელს ბატ. მოსე ნათაძესთან; ოზურგეთში: ბ. Ილურიძესთან; ახალციხეს: ბ. ნ. Ალექსეევ-მესხიევთან; გორში: ბ. ნ. ლომაურთან და ბ. ს. მგალობლოვთან; თელავში: ბატ. ვ. როსტომაშვილთან.

იბეჭდება და ამ მოკლე ხანში გამოვა ამავე ავტორის თხზულებანი: ელგუჯა, ისტორიული მოთხრობა. Არსენა, დრამა 3-ს მოქმედებად. Დილა ქორწილის შემდეგ, კომ. 1-ს მოქმედებად და „თხზულებანის" პირველის ტომის, პირველი ნაწილი. (20—17)

## ქადაგებანი

Იმერეთის ეპისკოპოზის, გაბრიელისა, ორი ტომი, იყიდება Თბილისის ყველა წიგნის მაღაზიებში და აგრეთვე ქუთაისისაში. Ფასი თვითო ტომისა მანათ-ნახევარი. Თბილისის და ქუთაისის გარეშე მცხოვრებნი პირნი დაიბარებენ ქადაგებათა ამ სახით: въ Тифлисъ, въ Кавказскую книжную торговлю Грикурова, ან въ Кутаисъ: въ канцелярію Епископа. (16—6)

## საგლობუსო  კალმები


ᲢᲣᲠᲜᲔᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲛᲮ.

რომლებითაც შეიძლება წერა სულ მსხვილ უსუფთაო ქაღალდზედაც. Ერთად ერთი სააგენტო Ინგლისის მაღაზია — Არწრუნისეულს ქარვასლაში. Იქვეა თვით ფაბრიკიდამ მოტანილი ყოველი აუარებელი სხვა-და-სხვა კალმები ყოველ ,,ხელისათვის'', 25% უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე, აგრეთვე მელანი, ლაქი, ქაღალდი, კონვერტები, ყარანდაშები, რვეულები, კომპასები, ბუმაჟნიკები, მაკრატლები, ტაბაკები (ფოდნოსები), კლეიონკები, სტაქნები, გრაფინები, ტანისამოსის ჩამოსაკიდნი, ნაჟდაკი, პატარა ჯოხები, იატაკის საწმენდები, ტანისამოსებისა და თმის შჩოტკები, პირ-სახოცები, ჰოჭინები (პომოჩები), ალბომები, თოფები, რევოლვერები, სასტვენლები, გრიფილები, ასპიდის ქვის დაფები, ხელის საპნები, ფაიანსის თეფშეულობა, სხვა-და-სხვა ხარისხისა, ყველაფერი 25% უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე. Უნდა გასინჯოთ აგრეთვე კალმები ,,გამოფენის'' (exhibition on pen, plume de l'exposition) 55 კაპეიკად 144 ცალი, ანუ 5 კაპ. თორმეტი ცალი. Ინგლისის მაღაზია იმყოფება Არწრუნისეულის ქარვასლის №№ 95, 94, 93, 91, 90, 89, 88, 87, 86 და 85. (100—1)

## ინგლისური მაღაზია

Maison de confiance და უდიდესი საწყობი ჩაისა და საქონლების თბილისში, იმყოფება არწრუნისეულს ქარვასლაში №№ 95, 94 93, (92 სამუსიკო მაღაზიაა ლანგოსა) 91, 90, 89, 88, 87, 86 და 85, რადგანაც ინგლისური მაღაზიის გამგებელი ყოველთვის თვითონ მიდის სამზღვარ გარეთ ჩაის საყიდლად და პირველ ხელიდან ჰყიდულობს, ამიტომაც შეუძლია ჰყიდოს უკეთესი ჩაი და უფრო იაფადაც ვიდრე სხვაგან სადმე. დასარწმუნებლად ჩაის მცნობებმა და პირველ მოყვარეულის ჩაის დამფასებლებმა შეადარონ

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ჩვენი | ჩაი | 1 მან. | — კაპ. | ჩაის | სხვაგან | 1 მან. | 20 ღირებულს. |
| ,, | ,, | 1 — | 20 — | ,, | ,, | 1 — | 50 — |
| ,, | ,, | 1 — | 40 — | ,, | ,, | 1 — | 80 — |
| ,, | იშვიათი | 1 — | 60 — | ,, | ,, | 2 — | 20 — |
| ,, | ჩინეთის ყვავილი | 1 — | 80 — | ,, | ,, | 2 — | 50 — |
| ,, | ფუჩეჩუ | 2 — | ,, — | ,, | ,, | 2 — | 80 — |
| ,, | ფენომენი | 2 — | 40 — | ,, | ,, | 3 — | ,, — |

ტრაქტირები, ინსტიტუტები, მონასტრები, პანსიონები და სხვანი დიდნი დაწესებულებანი, უეჭველია, დარწმუნდებიან, რომ ვერსად ვერ იყიდიან ასეთს სუნნელოვანს და მაგარს ჩაის ზომო-მოყვანილ ფასებად.

ჩაის ფასი ყოველთვის უქაღალდოდ იქნება.

ქალაქს გარეშე მცხოვრები, ვინც 6 გირვ. ნაკლებს არ იყიდის, გასაგზავნს ფასს მაღაზია იკისრებს. Იქვე იყიდება 30% უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან: ქსესენცია კაკაოსი, ბისკვიტები, თეფშეულობა, კლეიონკა, სიგარები, ტაბაკები (ფოდნოსები), დანები, მაკრატლები, კალმები, კრავატები და სხვ.; ყველაფერი პირველ ხელიდან—აი სეკრეტი ინგლისური მაღაზიის გასაოცარის წარმატებისა, რომლის გამო იგი ჰყიდის უჩვეულებრივო სიმრავლეს ჩაისას, კალმებისას, ქაღალდებისას, კრავატებისას და სხვ... (100—1)

ინგლისის მაღაზიაში

თმის-ამომყვანი მაკ-მასტერი



ამაგრებს თმას და აღრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ. (100—90)

აქვე იყიდება ქინის პომადა თმების გასამაგრებლად. Ფასი 1 მნ., სჩოტკები თავის ტკივილის ასასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ.



ეროვნული ბიბლიოთეკა